

იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის დებულება

მუხლი 1. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი.

იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი (შემდგომში „ქსელი“) არის საქართველოში მოქმედ უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს წევრთა შორის თანამშრომლობას და საქმიანობის კოორდინაციას ქსელის მიზნების შესაბამისად.

მუხლი 2. ქსელის მიზნები

ქსელის მიზნებია

1. საქართველოში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
2. იურიდიული დახმარების მდგრადი და ეფექტიანი გადამისამართების (რეფერალური) სისტემის შექმნა;
3. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა შორის ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის განმტკიცება.

მუხლი 3. ქსელის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ქსელის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია

1. საჭიროების მქონე პირთა უზრუნველყოფა უფასო იურიდიული დახმარებით;
2. ქსელის წევრებს შორის დისკუსიის, საუკეთესო გამოცდილების გაცვლისა და პრობლემების განხილვისთვის მუდმივმოქმედი ფორუმის უზრუნველყოფა;
3. იურიდიული დახმარების გადამისამართების სფეროში არსებული პრობლემების პერიოდული ანალიზი; გადამისამართების ერთიანი პოლიტიკის შექმნა და ზედამხედველობა; გადამისამართების სფეროში ძირითად პრინციპებსა და წესებზე შეთანხმება და მათი შესრულების მონიტორინგი;
4. გადამისამართების ქოლ ცენტრის შექმნა და მისი საქმიანობის ზედამხედველობა;
5. უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა მონაცემებთა ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება;
6. უფასო იურიდიული დახმარების ელექტრონული პორტალის (შემდგომში „პორტალის“) ზედამხედველობა და მასში ინფორმაციის განახლების კონტროლი;
7. პორტალის და გადამისამართების სისტემის ადვოკატირება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

8. საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი ტრენინგების ორგანიზება იურიდიული დახმარების საკითხებზე.
9. საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი კვლევების ორგანიზება იურიდიული დახმარების საკითხებში სფეროში;
10. სხვა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება რაც ემსახურება იურიდიული დახმარების ცნობადობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდას;
11. თანამშრომლობა საზღვარგარეთ მოქმედ იურიდიულ დახმარების მიმწოდებელთა ანალოგიურ გაერთიანებებთან.

მუხლი 4. ქსელის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ქსელის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და პატივისცემა;
- ბ. დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- გ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის წესების დაცვა;
- დ. გადამისამართების პროცესის სერვისის შემადგენელი ნაწილად აღქმა და შესაბამისი იმპლემენტაცია;
- ე. მოქალაქეთა დროული გადამისამართება საჭიროების შესაბამისად;
- ვ. ქსელის კომერციული მიზნით გამოყენების დაუშვებლობა;
- ზ. კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა.

მუხლი 5. ეფექტური გადამისამართების ეტაპები და პრინციპები. პერსონალის ინფორმირებულობა და გადამისამართებათა აღრიცხვა; გადამისამართების ქოლ ცენტრი.

1. დებულების მიზნებისთვის მოქალაქის გადამისამართება გულისხმობს სამართლებრივი დახმარების საჭიროების მქონე მოქალაქის გადამისამართებას იურიდიული დახმარების შესაბამის მიმწოდებელზე (მიმწოდებლებზე).
2. იურიდიული დახმარების შესაბამისი მიმწოდებელია იურიდიული დახმარების ის მიმწოდებელი, რომლის საქმიანობის სფერო, ბენეფიციართა წრე, გეოგრაფიული დაფარვის არეალი და მომსახურების ტიპი შეესაბამება მოქალაქის სამართლებრივ პრობლემას.
3. გადამისამართების პრინციპებია:
 - ა. მოქალაქის და მისი უფლებების პატივისცემა;

- ბ. მოქალაქესთან ეფექტური კომუნიკაცია;
- გ. საკუთარი ორგანიზაციის მომსახურების დაფარვის სფეროს ცოდნა;
- დ. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა და მათი დაფარვის სფეროების და ტერიტორიული არეალის ცოდნა;
- ე. მოქალაქის გადამისამართება მისი საჭიროებების შესაბამისად.

4. გადამისამართების ეტაპებია:

- ა. მოქალაქის სამართლებრივი პრობლემის არსის გარკვევა;
- ბ. ქსელის წევრი ორგანიზაციების თაობაზე მოქალაქისთვის ინფორმაციის მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქისთვის პორტალით სარგებლობის წესების განმარტება ან მოქალაქის დახმარება, რომ მიაგნოს იურიდიული დახმარების ჯეროვან მიმწოდებელს(მიმწოდებლებს) მათი საქმიანობის სფეროს, ბენეფიციართა წრის, მომსახურების მასშტაბების და გეოგრაფიული დაფარვის გათვალისწინებით.

5. ქსელის წევრი ვალდებულია

- ა. უზრუნველყოს მომსახურების გამწევი პერსონალის მიერ ეფექტური გადამისამართების პრინციპების, ეტაპების, პორტალის მოხმარების წესების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება.
- ბ. ქსელის მიერ დადგენილი ფორმით ქსელს მიაწოდოს ინფორმაცია არასწორი გადამისამართების შემთხვევების თაობაზე;
- გ. პორტალში შეიყვანოს სწორი მონაცემები საკუთარი ორგანიზაციის თაობაზე და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის განახლება დადგენილი პერიოდულობით.

6. ქსელის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია დაამტკიცოს გადამისამართების უფრო დეტალური სახელმძღვანელო ინსტრუქციები

7. გადამისამართების ქოლ ცენტრის შექმნას და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური. ქოლ ცენტრის საქმიანობის წესს ადგენს წევრთა საერთო კრება. ქსელის მმართველი კომიტეტი ან/და საერთო კრება უფლებამოსილია ქოლ ცენტრს მიმართოს რეკომენდაციებით საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 6. ქსელში გაწევრიანება, გაწევრიანების კრიტერიუმები.

1. ქსელის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი არასამეწარმეო (არაკომერციული), იურიდიული პირი ან საუნივერსიტეტო სამართლის კლინიკა რომელიც განცხადებით მიმართავს ქსელის მმართველ კომიტეტს და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა. ბოლო 2 წლის განმავლობაში ეწევა უფასო იურიდიულ მომსახურებას (წარმომადგენლობა ადგილობრივ ან საერთაშორისო სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოში, სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა ან იურიდიული კონსულტაცია)

ბ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქვს განხორციელებული წარმომადგენლობა სულ მცირე 5 საქმეზე და გაცემული სულ მცირე 50 კონსულტაცია;

გ. ჰყავს იურიდიული დახმარების გამწევი სულ მცირე ერთი თანამშრომელი, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი;

დ. ეთანხმება და იზიარებს ქსელის საქმიანობის მიზნებს;

ე. აქვს დაფინანსების სათანადო წყაროები, რათა განახორციელოს უფასო იურიდიული მომსახურება გაწევრიანებიდან 6 თვის განმავლობაში.

2. ქსელში ახალი ორგანიზაციის გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მმართველი კომიტეტი ხმათა უმრავლესობით.

3. ქსელის გეოგრაფიული ან სხვაგვარი დაფარვის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მმართველი კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ქსელში ორგანიზაციის გაწევრიანების თაობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც.

მუხლი 7. ქსელის წევრობის შეწყვეტა.

1. ქსელის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა. ორგანიზაციის განცხადება წევრობიდან გასვლის თაობაზე;

ბ. ორგანიზაციის მიერ ამ დებულების მე -6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

გ. ამ დებულების მოთხოვნათა სისტემატური ან უხეში დარღვევა;

დ. ქსელში გაწევრიანებისას ან შემდგომი საქმიანობისას ქსელისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება;

2. ქსელის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქსელის მმართველი კომიტეტი.

მუხლი 8. ქსელის ორგანოები

ქსელის მმართველი ორგანოებია

ა. საერთო კრება

ბ. მმართველი კომიტეტი

გ. თავმჯდომარე

დ. თანათავმჯდომარე

ე. სამდივნო

მუხლი 9. საერთო კრება

1. ქსელის საერთო კრება შედგება ქსელის ყველა წევრისგან
2. ქსელის საერთო კრების ფუნქციებია:
 - ა) ქსელის დებულების დამტკიცება, დებულებაში ცვლილებების შეტანა;
 - ბ) იურიდიული დახმარების გადამისამართების დამატებითი წესებისა და პრინციპების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;
 - გ) მმართველი კომიტეტის წევრების არჩევა;
 - დ) ქსელის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განხილვა და დამტკიცება;
 - ე) ქსელის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა.
3. საერთო კრება იკრიბება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.
4. საერთო კრება შეიძლება მოწვეული იქნას ქსელის თავმჯდომარის, თანათავმჯდომარის, მმართველი კომიტეტის, ან ქსელის წევრთა უმრავლესობის ინიციატივით.
5. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება წევრთა 1/2. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 10. მმართველი კომიტეტი

1. ქსელის მმართველი კომიტეტი შედგება 5 წევრისგან. მმართველი კომიტეტის ერთი წევრი არის ს.ს.ი.პიურიდიული დახმარების სამსახური, 2 წევრი არის ორგანიზაცია რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნაწარმოები აქვს ყველაზე მეტი საქმე/კონსულტაცია. დანარჩენ ორ წევრს ირჩევს წევრთა საერთო კრება. აქედან სულ მცირე ერთი წევრი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სამართლის კლინიკა.
2. მმართველი კომიტეტის წევრი (გარდა ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახურისა) ირჩევა 1 წლის ვადით.
3. მმართველი კომიტეტი:
 - ა. ირჩევს ქსელის თანათავმჯდომარეს;
 - ბ. იღებს გადაწყვეტილებას ან წარდგინებას ქსელში ორგანიზაციის გაწევრიანების ან წევრობის შეწყვეტის თაობაზე;
 - გ. ზედამხედველობს რეფერალური (გადამისამართების) სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

დ. უზრუნველყოფს ქსელის სხვა საქმიანობას მისი მიზნების შესაბამისად.

4. მმართველი კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტის სხდომაში დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

5. მმართველი კომიტეტის სხდომაზე საკითხის დაყენების და მმართველი კომიტეტის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვს ქსელის ნებისმიერ წევრს.

6. მმართველი კომიტეტი იკრიბება საჭიროებისამებრ, სულ მცირე წელიწადში ერთხელ ქსელის თავმჯდომარის ან თანათავმჯდომარის მოწვევით.

მუხლი 10. ქსელის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე.

1. ქსელს თავმჯდომარეობს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

2. ქსელის თავმჯდომარე

ა. იწვევს და თავმჯდომარეობს ქსელის წევრთა საერთო კრებას და მმართველი კომიტეტის სხდომებს;

ბ. ახორციელებს ქსელის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

გ. წელიწადში ერთხელ საერთო კრებას აბარებს ანგარიშს ქსელის საქმიანობის თაობაზე.

3. ქსელის თანათავმჯდომარე

ა. საჭიროების შემთხვევაში იწვევს მმართველი კომიტეტის სხდომას;

ბ. ქსელის თანათავმჯდომარე თავმჯდომარესთან ერთად ორგანიზაციულ უზრუნველყოფას უწევს ქსელის საერთო კრებასა და მმართველი კომიტეტის სხდომებს;

გ. ქსელის თავმჯდომარის არყოფნისას თავმჯდომარეობს ქსელის და მმართველი კომიტეტის სხდომებს.

მუხლი 11. ქსელის სამდივნო

ქსელის სამდივნო მომსახურებას ახორციელებს ქსელის მდივანი, რომელსაც ნიშნავს ქსელის თავმჯდომარე იურიდიული დახმარების აპარატის თანამშრომელთაგან.

მუხლი 12. ქსელის ლიკვიდაცია.

1. ქსელი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით

2. ქსელის ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 13. ქსელის დამფუძნებლები

ქსელის დამფუძნებლები არიან

1. ა(ა)იპ "ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი"

2. ა(ა)იპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი“ „იურიდიული კლინიკა – ჩემი ადვოკატი“

3. ა(ა)იპ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი
4. თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის კლინიკა
5. ადამიანის უფლებათა ცენტრი
6. საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველო
7. სამართლებრივი დახმარების ცენტრი - "Fides et Spes"
8. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
9. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
10. სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“
11. ააიპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურიდიული დახმარების ცენტრი.